



# ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ლ ა ნ ჩ ხ უ თ ი ს მ უ ნ ი ც ი პ ა ლ ი ტ ე ტ ი ს მ ე რ ი ა



წერილის ნომერი: 30-302328240  
თარიღი: 09/10/2023

ადრესატი: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

## ლ ა ნ ჩ ხ უ თ ი ს მ უ ნ ი ც ი პ ა ლ ი ტ ე ტ ი ს სა კ რ ე ბ უ ლ ო ს თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე ს ბ ა ტ ო ნ ბ ე ს ი კ ტ ა ბ ი ძ ე ს

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილებისა და საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“-ს 63-ე მუხლის შესაბამისად, წარმოგიდგენთ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში პროექტ „ევროკავშირი ინტეგრირებული ტერიტორიული განვითარებისთვის (EU4ITD) ეკონომიკური და სოციალური ცხოვრების კატალიზატორი ფარგლებში“ განსახორციელებელი პროექტების მოწონების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 22 დეკემბრის N74 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტს და აღნიშნულ პროექტთან დაკავშირებით განმარტებით ბარათს.

ცვლილება გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ დონორი ორგანიზაციის (GIZ) მოთხოვნაა განკარგულებაში დაფიქსირდეს მუნიციპალიტეტის მზაობა პროექტის თანადაფინანსებაზე. შესაბამისად ცვლილება შედის განკარგულების პირველ მუხლში.

პროექტის განხილვისას მომხსენებლად წარმოგიდგენთ მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობისა და ეკონომიკის სამსახურის ეკონომიკისა და საინვესტიციო პროექტების განყოფილების უფროსის მაია აფხაზავას კანდიდატურას.

პროექტის მიღება მიზანშეწონილად მიგვაჩნია საკრებულოს უახლოეს სხდომაზე.

### პ ა ტ ი ვ ი ს ც ე მ ი თ,

ალექსანდრე სარიშვილი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერია-ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი

გამოყენებულია კვალიფიცირი ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი



ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო  
განკარგულება №  
2023 წლის ოქტომბერი  
ქ. ლანჩხუთი

„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში პროექტ „ევროკავშირი ინტეგრირებული ტერიტორიული განვითარებისთვის (EU4ITD) ეკონომიკური და სოციალური ცხოვრების კატალიზატორი ფარგლებში“ განსახორციელებელი პროექტების მოწონების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 22 დეკემბრის N74 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებისა და საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“-ს 63-ე მუხლის შესაბამისად,

**მუხლი 1.** შევიდეს ცვლილება „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში პროექტ „ევროკავშირი ინტეგრირებული ტერიტორიული განვითარებისთვის (EU4ITD) ეკონომიკური და სოციალური ცხოვრების კატალიზატორი ფარგლებში“ განსახორციელებელი პროექტების მოწონების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 22 დეკემბრის N74 განკარგულებაში და განკარგულების პირველი მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 1. მოწონებულ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში პროექტ „ევროკავშირი ინტეგრირებული ტერიტორიული განვითარებისთვის (EU4ITD) ეკონომიკური და სოციალური ცხოვრების კატალიზატორი ფარგლებში“ განსახორციელებელი პროექტი (პროექტის თანადაფინანსებას მუნიციპალიტეტი უზრუნველყოფს 132 261,19 (ასოცდათორმეტიათას ორასსამოცდაერთი ლარი და ცხრამეტი თეთრი) ლარით) დანართის შესაბამისად.“

**მუხლი 2.** განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. N14 მისი ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს „ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის“ მე-8 თავის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად.

**მუხლი 3.** განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

ბესიკ ტაბიძე